N396 2015 წლის 3 აგვისტო ქ. თბილისი

„თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/02/2014, 010320050.10.003.017758) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ თანამდებობრივ რეესტრში:

1. მე-15 მუხლიდან ამოღებულ იქნეს „თ“, „ი“, „პ“, „ჟ“ და „რ“ ქვეპუნქტები.

2. მე-15 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 15[1] მუხლი:

„**მუხლი 15[1]**. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში:

ა) სამსახურის უფროსი, სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე, სამსახურის უფროსის მოადგილე;

ბ) გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტის) ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

გ) ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

დ) სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ე) ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტის) ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ვ) კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ზ) კონტრტერორისტული ცენტრის (დეპარტამეტის) ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

თ) ოპერატიული ღონისძიებების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ი) საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

კ) სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ლ) ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

მ) ობიექტების დაცვის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ნ) კადრების მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ო) ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

პ) სამსახურის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში შემავალი მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 აგვისტოდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**